

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

28 მარტი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე.

მოწვეული პირები:

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი -**ვანდა გიორგაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ ვანის კომუნალური გაერთიანების მთავარი ბუღალტერი - **ირინა ძაგნიძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის ინფორმაციის განხილვა.

მომხს: ვანდა გიორგაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

მომხს: ირინა ძაგნიძე

3.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

4.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა ვანდა გიორგაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის ინფორმაციის განხილვა;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა 2017 წლის 11 იანვარს განისაზღვრა 1 907 171 ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2017 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 7 028 490 ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მომხსენებელს მიმართა კითხვით: 2017 წლის განმავლობაში რამდენი ტენდერი გამოცხადდა და აქედან რამდენი არის შესრულებული?

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2017 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულია 75 ელექტრონული ტენდერი, აქედან შესრულებულია - 39; შეუსრულებელი - 1; მიმდინარე - 7; არ შედგა - 21; დასრულებულია უარყოფითი შედეგით - 6; შეწყვეტილია - 1.

გამარტივებული შესყიდვების წესით გაფორმდა 118 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრის დაცვით 98; გადაუდებელი აუცილობლობით - 7.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 13 ხელშეკრულება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

გადაწყვეტის:

კომისიამ განიხილა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშის ინფორმაცია.

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგით მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა ირინა მაგნიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ა(ა) იპ ვანის კომუნალურ გაერთიანებაში 2017 წელს დასაქმებული იყო 72 თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციაში 17 თანამშრომელი, 16 მეეზოვე, დამლაგებელი 9. მუშა 10, მძღოლი 5, ყარაული 3, დარაჯი 4, ელექტიკოსი 3.

კომისიის წევრმა ივანე კორძაძემ მომხსენებელს მიმართა კითხვით; ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2017 წელს რამდენი ათასი ლარი გქონდათ გამოყოფილი?

მომხსენებელმა განმარტა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გვქონდა 426,0 ათასი ლარის სუბსიდია, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული იყო 7,8 ათასი ლარი.

სულ გახარჯული იქნა 433,3 ათასი ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურებაზე - 297,5 ათასი ლარი

მივლინება - 0,5 ათასი ლარი

ავტოსათადარიგო ნაწილები - 16,6 ათასი ლარი

საწვავი - 49,1 ათასი ლარი

ძრავის ზეთები - 3,8 ათასი ლარი

სამეურნეო საქონელი 9,1 ათასი ლარი

ოფისის ხარჯები 2,2 ათასი ლარი

ელექტრო საქონელი 21,5 ათასი ლარი

ურნების რემონტი - 2,6 ათასი ლარი

სპეცტანსაცმელი 0,5 ათასი ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/დანართი N3/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა, კერძოდ;

აპრილი - ივნისი

აპრილი

მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების ანგარიშის მოსმენა 2018 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

მაისი

2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის განხილვა. სარეზერვო ფონდის ანგარიშის განხილვა

ივნისი

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშის მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მზარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართი N 4/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

მეოთხე საკითხად სხვადასხვაში კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო, რომ კომისიის რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მე - 2 კვირის სამშაბათ დღეს, ხოლო თუ დასვენება იქნება ამ დღეს სხდომა გაიმართება მომდევნო სამუშაო დღეს.

გადაწყვიტეს

კომისიამ მოიწონა და მზარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე